განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ჟურნალისტიკა"

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
9-10.09.2021.

დასკვნის წარდგენის თარიღი

26.10.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, VII დონე.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა , 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე	ნინო შოშიტაშვილი, გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ხათუნა კაჭარავა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი	მალხაზ გაგუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი	სოსო გაზდელიანი კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - საგანმანათლებლო პროგრამამ წინა აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (ბრძანება N 401). პროგრამის მიზანია შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა -9, მათ შორის 3 აფილირებულია; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ძალზე მცირეა, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა 2017 წელს -8; 2018- 0 ; 2019-2 ; 2020-0. შემოწმების პერიოდში პროგრამას არ ჰყავს აქტიური სტუდენტები.
  - სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ბაზას წარმოადგენს ტელევიზია - სდასუ TV, ხმის ჩამწერი სტუდია და პრესკლუბი. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს: თანამედროვე მასკომუნიკაციის საშუალებებში (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტჟურნალისტიკა), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, პრესცენტრებში, საინფორმაციო სააგენტოებში, არასამთავრობო და საჯარო სტრუქტურებში ან/და გააგრძელოს სწავლა შემდგომ საფეხურზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ აკრედიტაციის მაძიებელმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული არ იქნა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სდასუ-ში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (9-10.09.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (ონლაინ-ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა წინასწარი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა, სადაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი, აუცილებელი ასპექტები და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში.

ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. იყო კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემო. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -მეტწილი შესაბამისობა;
  - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილი შესაბამისობა;
  - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- -სრული შესაბამისობა;
  - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -სრული შესაბამისობა;
  - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები --სრული შესაბამისობა.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის სწავლის შედეგების მესამე პუნქტის მისაღწევად არსებულ სასწავლო კურსებს დაემატოს შესაბამისი დისციპლინები, რომლებიც სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს;
  - უდს-მ უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება, ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოება;
  - პროგრამის შინაარსში აისახოს საგამოძიებო ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმებას;
  - ტელე- რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკის სასწავლო კურსის შინაარსში ფართოდ აისახოს რადიოსა და ტელეჟურნალისტიკაში პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
  - უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედიაორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება;
  - თანამედროვე მოთხოვნებთან სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში ლექტორთა მიერ მომზადებულ რიდერებთან ერთად, ძირითად და/ან დამხმარე სახელმძღვანელოებად შეთავაზებული იყოს თანამედროვე რელევანტური ინგლისურენოვანი ლიტერატურა (კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ექსპერტთა, რჩევაა პროგრამის არჩევით მოდულს დაემატოს მრავალფეროვანი ინტერდისციპლინური სასწავლო კურსები;
- პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი (სამაუწყებლო და ბეჭდური ჟურნალისტიკის კუთხით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმნელად;
- დაიხვეწოს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა ამ პროცედურამ ფორმალობის ნაცვლად რეალური ფუნქცია შეიძინოს;
- პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მოზიდვის პოტენციალი, რისთვისაც საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება;
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
- დაწესებულებამ რეგულარულად განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
- დაწესებულებამ შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობები განახორციელოს რეგულარულად, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეაფასოს რეგულარულად, ხოლო შედეგები გამოიყენოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით;
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად იყოს წარმოდგენილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათელია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება მომავალი პროფესიული გარემოსთვის. სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადებას ისახავს მიზნად. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტისათვის ჟურნალისტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა, შესძინოს მას მედია პროდუქციის მომზადების, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, შედეგების წარდგენის, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე სწორი გადაწყვეტილების მიღების და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, ასევე პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის, პასუხისმგებლობითა და მედია სტანდარტებით გათვალისწინებული, ეთიკური ნორმების დაცვით, პროფესიული საქმიანობის განხორციელების უნარ-ჩვევები. სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიული გეგმასთან, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ. სამაგისტრო პროგრამის მიზანს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება წარმოადგენს, რაც კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოებას, უცხოელ კოლეგებთან ინტენსიურ თანამშრომლობას მოითხოვს. ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების თვალსაზრისით სდასუ-ს მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება არ არის წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია;
- სდასუ-ს ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები სდასუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- უდს-მ უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება, ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამიჯნულია თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდგომ სტუდენტი აყალიბებს ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და საკითხებს, სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით, არჩევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზებს, კრიტიკულად აანალიზებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვას მედიაში და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით საქმიანობას, წარადგენს საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს, კვლევის შედეგებს პროფესიული და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით დამოუკიდებლად წარმართავს ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ პროცესებს, პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და შეაქვს წვლილი ჟურნალისტისთვის საჭირო პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან პროგრამის შედეგები ძირითადად ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და ჟურნალისტიკის მომავალი მაგისტრის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია: საბაზისო ცოდნა; განმავითარებელი ცოდნა; კომპლექსური ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმშია გაწერილი. პროგრამას აქვს

სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. პროგრამაში წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს შეთავაზებული სასწავლო კურსებით, გამონაკლისია მე-3 სწავლის შედეგი („ამზადებს მედია პროექტებს თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით.“), რომელიც მიიღწევა შემდეგი სასწავლო კურსებით: "ინტერნეტი და მობილური ჟურნალისტიკა", "ტელეპროდიუსერინგი", "საქმიანი ჟურნალისტიკა", "პრაქტიკა", სამაგისტრო ნაშრომი სპეციალობაში. მედია პროექტების მომზადება, ცხადია, მხოლოდ ინტერნეტისა და ტელევიზიის მიმართულებას არ გულისხმობს, მედია პროექტი შეიძლება მომზადდეს სხვა პლატფორმებზეც, ბეჭდურ მედიასა და რადიომაუწყებლობაში, შესაბამისად, ამ კონკრეტული სწავლის შედეგს მხოლოდ აღნიშნული შეთავაზებული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს და კროსპლატფორმული მედია პროექტების მომზადებისთვის საკმარისი არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ➢ პროგრამის სწავლის შედეგების მესამე პუნქტის მისაღწევად არსებულ სასწავლო კურსებს დაემატოს შესაბამისი დისციპლინები, რომლებიც სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		v		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ლოგიკურია, სამართლიანია, საჯაროა, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის მქონე პირთა ჩართვას. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონკურსანტი თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდიდან თუ წარადგენს შესაბამის სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დგინდება საქართველო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსდ-ში მოქმედი "უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების წესით". პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები საჯაროა და განთავსებულია სდასუ-ს ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებო პროგრამა; • "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი"; • სდასუ-ს ვებგვერდი; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; პროგრამის მოცულობა თანხვედრაშია სწავლების საფეხურთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. პროგრამის სტრუქტურა კრედიტებში ასე გამოიყურება: ➢ სავალდებულო კომპონენტი: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო

კურსები (60 კრედიტი); პრაქტიკა (10 კრედიტი); სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი).

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (20 კრედიტი).

სპეციალობით დასაქმებული სტუდენტი პრაქტიკის ნაცვლად 10 კრედიტს აგროვებს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

არსებითად ასეთი დაყოფა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მაგისტრის ხარისხისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზარის კვლევა და გამოკვეთილია მიმართულებები, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახულია პროგრამის შინაარსში (ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალების მომზადება; ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობა; მედიამენეჯმენტი, სატელევიზიო პროდიუსირება). თუმცა პროგრამის მიღმაა დარჩენილი საგამოძიებო ჟურნალისტური ცოდნისა და უნარების დაუფლება, რაც კვლევის შედეგების მიხედვით, სასურველი ან აუცილებელია მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულისთვის. ამასთან, კვლევის მიხედვით, საგამოძიებო ჟურნალისტის პოზიცია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია მედიაორგანიზაციებში.

პსშ 3 -ის შესახებ ანალიზი და რეკომენდაცია მოცემულია 2.2. სტანდარტში.

ზოგადად პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც ადეკვატურია. სტუდენტს ყველა სემესტრში აქვს საშუალება მიიღოს სავალდებულო აკადემიური ცოდნა და ინდივიდუალური გეგმის მიხედვით დამატებით აირჩიოს სასწავლო კურსები. ჟურნალისტიკის დარგის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ექსპერტთა რჩევაა, პროგრამის არჩევით მოდულში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი ინტერდისციპლინური სასწავლო კურსები, რაც სტუდენტს მისცემს, ერთი მხრივ, ფართო განათლებას მედიის სფეროში და ამავე დროს გამოუმუშავებს შესწავლის, გაცნობიერების, გააზრებული დასკვნების გამოტანის უნარს მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებში.

ინტერვიუს სესიებმა აჩვენა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა დაინტერესებული მხარეები(აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი). უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პროგრამულ კატალოგში სდასუ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სდასუს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სდასუ-ს ვებგვერდი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის კვლევა;

- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შინაარში აისახოს საგამოძიებო ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა, რჩევაა პროგრამის არჩევით მოდულს დაემატოს მარავალფეროვანი ინტერდისციპლინური სასწავლო კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის მოცულობა (გამონაკლისია სამაგისტრო ნაშრომი, პრაქტიკა) 5 კრედიტია. თუმცა, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განსხვავებულია დისციპლინების სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. გამონაკლისია "ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა", რომლის შინაარსი ნაკლებად მოიცავს სწავლის შედეგით გათვალისწინებულ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ამასთან, კურსის შედეგების შეფასებით ნაწილში გადაცემის (ტელესიუჟეტის)მომზადება განსაზღვრულია 5 ქულით, რაც შესასრულებელი სამუშაოსა და მოცულობის გათვალისწინებით ძალზე მცირეა (60/5) .

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა უმრავლეს შემთხვევებში წარმოდგენილია ლექტორთა მიერ მომზადებული რიდერების ან სალექციო მასალების სახით. გასათვალისწინებელია ქართული მედიაგანათლების წინაშე არსებული პრობლემა - მშობლიურ ენაზე გამოცემული თანამედროვე რელევანტური სახელმძღვანელოების სიმწირე. თუმცა, ვფიქრობთ, სილაბუსებში შესაძლებელია სფეროს აქტუალური მიღწევების, უახლესი კვლევებისა და ტენდენციების შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- ინერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან .

რეკომენდაციები:

- ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკის სასწავლო კურსის შინაარსში ფართოდ აისახოს რადიოსა და ტელეჟურნალისტიკაში პრაქტიკული უნარების გამომუშავება.
- თანამედროვე მოთხოვნებთან სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში ლექტორთა მიერ მომზადებულ რიდერებთან ერთად, ძირითად და/ან დამხმარე სახელემძღვანელოებად შეთავაზებული იყოს თანამედროვე რელევანტური ინგლისურენოვანი ლიტერატურა (კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ----------
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ე.წ. შერეული მოდელით, თეორიულ საგნებში ჩაშენებული პრაქტიკითა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით. პროგრამა ძირითადად უზრუნვლყოფს ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. თუმცა მაინც გვრჩება ერთგვარი უკმარობის განცდა, რადგან პროგრამის შინაარსში ნათლად არ არის გამოკვეთილი ისეთი უნარების დაუფლება, რომლებიც ჟურნალისტური პროდუქტის საბოლოო სახის შექმნისათვის არის საჭირო (გაზეთის გეგმის შედგენა; მაკეტვერსიიის აწყობა; ყოველდღიური, ყოველკვირეული გაზეთის/ჟურნალის გამოსაცემად მომზადება; რადიო სიუჟეტის/გადაცემის დაგეგმვა/მომზადება, გადასაღებ და სამონტაჟო ტექნიკასთან მუშაობა; კადრსინქრონების მომზადება და მისთ.). პროგრამის ამ მიმართულებით გაძლიერება, შესაძლებელია არჩევით მოდულში ბეჭდური და სამაუწყებლო "ტექნოლოგიური კლასების" შეთავაზებით, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმნელად. სასწავლო კურსი პრაქტიკა (10 კრედიტი) პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და გათვალისწინებულია სწავლების მე-3 სემესტრში. პრაქტიკის მიზანია სამაგისტრო პროგრამის თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის განმტკიცება, უნარების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება. პრაქტიკული სწავლების პროცესი შედგება საკონტაქტო (პრაქტიკის დაწესებულების მენტორთან მუშაობა, პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან მუშაობა და ანგარიშის პრეზენტაცია) და

დამოუკიდებელი მუშაობისგან.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკის გავლის პერიოდში მაგისტრანტებს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, სდასუ-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე, პრაქტიკის პროცესში წამოჭრილ პრობლემათა მოგვარებაზე. პრაქტიკის პერიოდში პრაქტიკის დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც ახორციელებს დაწესებულებაში მაგისტრანტთა ზედამხედველობას. პრაქტიკის დროს სტუდენტები იცავენ დაწესებულების შინაგანაწესს, უსაფრთხოების და ეთიკის ნორმებს, ასრულებენ სამუშაოს და აწარმოებენ პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითების შესაბამისად.

პრაქტიკის პროცესი მოიცავს: პრაქტიკის დაწყებასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ შეხვედრებს; ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის გაცნობას; მენტორის მიერ მაგისტრანტების სამუშაო პროცესში ჩართვასა და ყოველდღიური ჩანაწერების (დღიურების) წარმოებას, ზედამხედველობას მათ საქმიანობაზე, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებასა და საბოლოო დაცვას. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინაშე. მაგისტრანტი დაცვაზე წარადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ პრაქტიკის ანგარიშს და შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას.

დამსაქმებლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები მწირია, თუმცა არსებული ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, პრაქტიკის არაერთ ობიექტთან/დამსაქმებელთან არსებობს სიტყვიერი შეთანხმება. ვფიქრობთ, რაც მალე იქცევა ვერბალური შეთანხმება ხელმოწერილ დოკუმენტად/მემორანდუმად, მით უკეთესი იქნება.

პროგრამა სტუდენტებისთვის სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებით "მედიის კვლევის მეთოდები" და სამაგისტრო ნაშრომი. სამეცნიერო - კვლევით ნაშრომი სრულდება სწავლების მე-4 სემესტრში და მოიცავს 30 კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მაგისტრანტმა გაიღრმავოს და განიმტკიცოს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა. გამოავლინოს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების შესაძლებლობა და წარმოადგინოს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები. შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულების შესაბამისად.

პროგრამას ბოლო სამი წლის მანძილზე მხოლოდ 3 მაგისტრანტი ჰყავდა და ძნელია ვისმჯელოთ, თუ რამდენად უზრუნველყო ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ კველვით პროექტებში მათი მონაწილეობა. თუმცა, ადგილზე დათვალიერების დროს, გვქონდა საშუალება გვენახა სდასუ-ს სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, რაც ზოგადად სტუდენტური შრომების გამოსაქვეყნებლად კარგი საშუალებაა. ამასთან, უსდ-

ს აქვს სამეცნიერო კლუბიც, კლუბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ მომიჯნავე პროგრამის (სამართალი) სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სდასუ-ს სამეცნიერო ჟურნალი;
- პრაქტიკის სილაბუსი , განხორციელებული პრაქტიკის ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- *უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედიაორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება.*

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- *პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი (სამაუწყებლო და ბეჭდური ჟურნალისტიკის კუთხით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმნელად.*

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიური ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევის შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), ანალიზს, სინთეზს, წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესორ-მასწავლებლები სწავლებისას ხშირად იყენებენ როლურ იმიტაციებს, იწვევენ დარგის ექსპერტებს/პრაქტიკოს ჟურნალისტებს სტუდენტებთან შესახვედრად; სწავლება -სწავლის მეთოდების შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც დარგის სპეციფიკას, ისე სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები , სწავლება-სწავლის მეთოდები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტიანია და ხორციელდება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე. შეფასებები გამჭვირვალეა და ყველა სტუდენტის მიმართ გამოიყენება სამართლიანად.

